სილქნეტი
SILKNET

№ 1745/05-8

„21" 04 2017

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

სს „სილქნეტის" 2016 წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ სს „სილქნეტის", როგორც მაუწყებლობის სუბიექტის ავტორიზებული პირის 2016 წლის ანგარიშს:

1. „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე სს „სილქნეტის" გენერალური დირექტორის N01 12 ბრძანებით სს „სილქნეტში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის დებულება;

2. 2016 წლის განმავლობაში კომპანიაში არ შემოსულა საჩივარი სს „სილქნეტის" მიერ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის ან და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" დარღვევის თაობაზე;

3. 2016 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლების მხრიდან არ მომხდარა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" დარღვევა;

4. 2016 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა ღონისძიებები კომპანიის თანამშრომლების მოთხოვნილი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

5. კომპანია ტელემაუწყებლობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

6. კომპანიის დაფინანსების წყაროს მაუწყებლობის ნაწილში წარმოადგენს კომპანიის სატელევიზიო არხების ოპერატორების მიერ მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირებისგან გადახდილი საფასური და შემოსავლები რეკლამიდან, სპონსორობიდან და Product Placement-იდან;

7. ანგარიშს თან ერთვის აუდიტის დასკვნა, მომზადებული „KPMG Georgia LLC"-ის მიერ.

დანართი: აუდიტის დასკვნა 37 ფურცელი 1 ეგზ.

პატივისცემით

გენერალური დირექტორი

დავით მაღლაკელიძე

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.95
ტელ: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 100000 Fax: (+995 32) 2 100001